უხეში შეცდომებით

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 8 მაისი.

"დინამო" (თბილისი) – "სპარტაკი" (მოსკოვი) 0:3 (0:0).

"დინამო": კუცია, ჟიბა, ჩივაძე, ჭედია (მესხი), დურდიაძე, კოპალეიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჩქარეული, შენგელია.

"სპარტაკი": დასაევი, მოროზოვი, ბაზულევი, მილეშკინი, რომანცევი, კუზნეცოვი, გესი (რეზნიკი), გლადილინი, გავრილოვი (პოზდნიაკოვი), ჩერენკოვი, როდიონოვი.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

გააფრთხილეს: ჭედია, მოროზოვი, მილეშკინი, სულაქველიძე.

ზედიზედ მესამე მატჩია, თბილისის "დინამო" დამარცხებული ტოვებს მინდორს. განსაკუთრებით მწარე იყო უკანასკნელი წაგება მოსკოვის "სპარტაკთან" დიდი ანგარიშით, თანაც საკუთარ მინდორზე. თუმცა შეხვედრის დასაწყისისა და, საერთოდ, პირველი ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შედეგი ასეთი არ უნდა ყოფილიყო. 45 წუთის განმავლობაში სტუმრებს თბილისელთა მეკარე ფაქტიურად არც შეუწუხებიათ.

მატჩის 47–ე წუთი. სვანაძემ მეტოქის შეტევისას სწორი პოზიცია ვერ შეარჩია, რითაც საშუალება მისცა ერთ–ერთ მოსკოველ ფორვარდს შეუფერხებლად მოეწოდებინა ბურთი თბილისელთა საჯარიმოში. მასპინძელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე უმეთვალყურედ დარჩენილმა რეზნიკმა თავით პირველი გოლი გაიტანა – 0:1. ორიოდე წუთის შემდეგ ჯერ გლადილინმა, შემდეგ კი როდიონოვმა მიაღწიეს წარმატებას. ამაში ჩვენს მცველებსა და მეკარეს მიუძღვით ბრალი, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ასეთ შეცდომებს თავს ვერ დავაღწევთ თუ "დინამოს" ნახევარმცველები ასე გააგრძელებენ თამაშს. ახლა ჩვენი გუნდის ყველაზე სუსტი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ძნელად დასაკომპლექტებელი სწორედ ეს რგოლია. კარგი ნახევარდაცვის გარეშე დღევანდელ ფეხბურთში რაიმე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია.

და ბოლოს, გულშემატკივრები კანონიერად ვამაყობთ ერთი საკმაოდ უნიკალური რეკორდით, რომელიც ჩვენს გუნდს ეკუთვნის: თბილისის "დინამოს" ჩემპიონატების მანძილზე მე–9 ადგილს არ გასცილებია. რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, გუნდი გამუდმებით ვერ იქნება პრიზიორთა შორის, მაგრამ ამ რეკორდის დაკარგვის უფლება დინამოელ ფეხბურთელებს არა აქვთ.

ბ. ირემაძე.
"ლელო", 11 მაისი, 1983 წ.